კლუბის სახელწოდება - **La liga del Español**

კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი):

ხელმძღვანელი _ გვანცა ფიფია

ტელეფონი _ 599 17 42 92

მეილი _ gvantsa.pipia@cea.ge

კლუბის გაკვეთილების რაოდენობა: კვირაში 2 გაკვეთილი

თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წთ;

კლუბში გაწევრიანების წინაპირობა: მოსწავლეთა მოტივაცია და ინტერესი; კლუბში გაწევრიანება შეუძლიათ მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა: მინიმალური - 6 მოსწავლე; მაქსიმალური - 10 მოსწავლე;

კლუბის მიზანი: ზემოთ ხსენებული კლუბი მიზნად ისახავს, მოსწავლეებში ესპანური ენის სწვალების განსხვავებულ და ორიგინალურ მეთოდს - თემატიკის კონკრეტიზაციას, მათთვის საყვარელი - ესპანური ფეხბურთის გარშემო საუბარს და მოგზაურობას.

ფეხბურთი ამავდროულად ესპანური კულტურის შესწავლის საუკეთესო საშუალებაცაა: ბარსელონა-რეალის დაპირისპირება კატალონიისა და კასტილიის ისტორიულ ურთიერთობებზე მოგვითხრობს, ბილბაოს ატლეტიკო ბასკური იდენტობის სიმბოლოა, ხოლო ანდალუსიის გუნდები — სევილია და ბეტისი — სამხრეთ ესპანეთის თავისებურ კოლორიტს წარმოაჩენენ. ამგვარად, ფეხბურთის მეშვეობით მოსწავლეები ესპანეთის გეოგრაფიას, ისტორიას და რეგიონულ მრავალფეროვნებას ეზიარებიან.

ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები: კლუბის შეხვედრებზე მოსწავლეები ესპანურად განიხილავენ La Liga-ს მატჩებს, გაეცნობიან საყვარელი გუნდებისა და მოთამაშეების ისტორიას, უყურებენ და გაანალიზებენ ესპანურენოვან საფეხბურთო რეპორტაჟებსა და ინტერვიუებს.

კლუბი განკუთვნილია ყველა მოსწავლისთვის, ვინც სწავლობს ესპანური ენას და ფეხბურთით ინტერესდება. აქ მთავარია არა ენის სრულყოფილი ცოდნა, არამედ სურვილი — ისაუბრო იმაზე, რაც გიყვარს და ამით ენას ბუნებრივად დაეუფლო.

ძირითადი რესურსები: სხვადასხვა ონლაინ პლათფორმების გამოყენება, საფეხბურთო სტატიების და ისტორიების წაკითხვა; მოკლე მეტრაჟიანი ფილმების და მწვრთნელების თუ ფეხბურთელების ისოტორიების მოსმენა.

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა): მოსწავლეები შექმნიან და როლურად გაითამაშებენ ტრანსლაციას; სხვადასხვა მატჩების კომენტატორების როლებს მოირგებენ და გაიგებენ სახალისო ჟარგონებს მატჩების წაყვანის პროცესში.